

ლოცვითა და სურული საშუაში



საშუაშის მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშუაშის მოამბის“ დამატება
№2, 22 თებერვალი, ორშაბათი, 2021 წელი

პლანეტების შეერთება – სამყაროს მე-5 განზომილება

2020 წლის 21 დეკემბერს მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელსაც სამყაროს ასტრო-ეზოთერულ ტრილში ეპოქალური მნიშვნელობა ენიჭება.

21 დეკემბერი, თავისთავად, მნიშვნელოვანი დღეა, რადგან ადგილი აქვს ე.წ. ზამთრის ბუნიობას. მზე, თავისი უკიდურესად დაბალი ნერტილიდან, აღმავალ ფაზაში გადადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ასრულებს ერთნაირ ასტროლოგიურ ციკლს და „კვდება“, რათა შემდეგ კვლავ დაიბადოს და მომდევნო წრეზე წავიდეს. ეს მოვლენა ყველასთვის ცნობილია, მაგრამ გასული წლის დეკემბერში ამას დაემატა ისიც, რომ კოსმოსში, მერწყულის ნიშანში ერთმანეთს შეუერთდა ორი გიგანტი პლანეტა – სატურნი და იუპიტერი, რომელიც განსაზღვრავს უახლოესი 20 წლის ტენდენციებს. ეს მოვლენა ასტროლოგიაში დიდი მუტაციის სახელწოდებით არის ცნობილი. შეერთება მოხდა 22:21 წუთზე, თბილისის დროით, მერწყულის ნულ გრადუსზე. რატომ არის ეს შეერთება ასეთი მნიშვნელოვანი?

ასტროლოგიაში სატურნს და იუპიტერს „დროის გამგებლის“, „დიდი ქრონოკრატორების“ სახელწოდება აქვთ მინიჭებული. სწორედ, იუპიტერისა და სატურნის ციკლების საფუძველზე აკეთებდნენ ძველი ასტროლოგები ახალი იმპერიებისა და მეფეების დაბადების, გარდაცვალებისა და იმპერიის დაცემის წინასწარმეტყველებებს. ქრისტეს დაბადებამდე ბევრად ადრე, მოგვებს უკვე ჰქონდათ ცოდნა კაცობრიობის სულიერების განვითარებაში ახალი, უმნიშვნელოვანესი ეპოქის დაწყების შესახებ, რომ ე.წ. ბეთლემის ვარსკვლავი, რომელსაც სამყაროსთვის უნდა ემცნო კაცობრიობის მხსნელის, უდიდესი მისიის ღმერთკაცის დაბადება, სავარაუდოდ, მხოლოდ იუპიტერისა და სატურნის შეერთებისას გამოჩნდებოდა და ეს შეერთება, მართლაც, ჩვენს დღესაც მე-7 წელს მოხდა თევზების ნიშანში. თევზები კი, სწორედ სულიერ სფეროს, უპირობო, სამყაროსეულ სიყვარულს განაგებს. სხვა დროს ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა კოსმოსთან შესაბამისობის გარეშე, უბრალოდ, ვერ მოხდებოდა. ამჟამად, სატურნი და იუპიტერი, რომელიც აქამდე – მე-19 საუკუნის დასაწყისიდან (1802 წლიდან) მინის სტიქიაში ხვდებოდნენ ერთმანეთს, მომდევნო შეერთებებს მხოლოდ ჰაერის სტიქიის ნიშნებში განახორციელებენ.

ზოგადად, სატურნისა და იუპიტერის ურთიერთქმედების ყველა ციკლი იყოფა 3 ეტაპად: მცირე, საშუალო და დიდი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

მცირე ციკლი გრძელდება 20 წელი და საჭიროა იმისათვის, რომ ეს ორი გიგანტი პლანეტა კვლავ ჰაერის ნიშანში შეხვდეს ერთმანეთს. ეს არის რეპეტიცია, საწყისი ეტაპი მერწყულის ეპოქაში შესასვლელად. მცირე ციკლის დროს შესაძლებელია პოლიტიკური რეჟიმების, ეკონომიკური მდგომარეობის, მსოფლმხედველობის თანდათანობითი ცვლა. სამყაროში მზადდება ნიადაგი, იქმნება წინაპირობა საშუალო ციკლის წარმატებული განხორციელებისთვის.

საშუალო ციკლის ხანგრძლივობა, დაახლოებით, 240 წელია, რომლის დროსაც იუპიტერისა და სატურნის ყოველი შეერთება მოხდება იმავე სტიქიაში (ჰაერი), რაც მანამდე იყო. აქ მოსალოდნელია მერწყულისეული თემების უფრო მეტად გაძლიერება, წინა პლანზე წამოვა როგორც ტექნოლოგიები და ინოვაციები, ასევე, შესაძლოა მოხდეს ბევრი მოულოდნელობა, არსებული სისტემის შეცვლა, რეფორმები, კულტურული და ეკონომიკური რევოლუცია, რელიგიური პარადიგმის ცვლა და სხვა.

რაც შეეხება იუპიტერისა და სატურნის დიდ ციკლს – ის, დაახლოებით, 960 წელიწადში ერთხელ ხდება. ამ პერიოდის მანძილზე ეს პლანეტები ოთხივე სტიქიას გაივლიან. ზოგადად, გლობალური ცვლილებები უეცრად, ერთ დღეში, ან ერთ წელიწადში არ ხდება, თუმცა, უკვე დაწყებულია და მომავალში კვლავაც გაგრძელდება.

ერთი სტიქიიდან მეორე სტიქიაში მონაცვლეობა, როგორც წესი, გლობალურ კრიზისს იწვევს, რომელიც ყოველთვის უმნიშვნელოვანეს პერიოდად აღიქმება, რადგან მას მოსდევს ცვლილებები ფასეულობების, პრიორიტეტების, საზოგადოების ორიენტაციის, ასევე, ცივილიზაციისა და მთლიანად, სამყაროს სამომავლო განვითარების კუთხით.

მინის სტიქია – ეს არის მატერიალური ღირებულებები, სტაბილურობა, მძიმე შრომა, პრაქტიკულობა, პრაგმატიზმი. ასე ცხოვრობდა სამყარო ბოლო 200 წელი, მაგრამ, ამიერიდან, ყველაფერი შეიცვლება. რადგან მერწყული, სადაც ხდება ეს შეერთება, ჰაერის სტიქიას წარმოადგენს, წინა პლანზე გამოვა ახალი ტექნოლოგიები, ინტელექტი, ურთიერთობები, თავისუფლების მოთხოვნილება, რეფორმატორულობა, შემოქმედებითი და

კოლექტიური საქმიანობა.

ვინაიდან, ჰაერის სტიქია არის ძალზე რაციონალური, მენტალური, თვითონ მერწყული კი ყველაზე არაემოციურ ჰაერის ნიშნად მოიაზრება მთელს ზოდიაქოში, მისი მმართველი ურანი ყველაფერ ახლის, თანამედროვეს, რადიკალურს, რევოლუციურს მმართველია. ის განასახიერებს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, სიახლეს, ინდივიდუალიზმს, მმართველობაში ნიჭიერი ადამიანების მოსვლას.

ამ ყველაფერზე დაყრდნობით, მოსალოდნელია, საზოგადოებაში, თანდათან, მოხდეს მასშტაბური ტრანსფორმაცია. მომავალში ჩვენთვის უფრო ფასეული გახდება ინფორმაციული და ინტელექტუალური შრომა და მისი პრაქტიკული გამოყენება, ვიდრე მატერიალური საგნები, წარსულს ჩაბარდება დიქტატურა და ტოტალიტარული რეჟიმები, ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი გახდება მომავალი და მასზე ზრუნვა, წინა პლანზე წამოიწვევს ეკოლოგიის საკითხები, მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის განათლების სისტემა, თითოეულ ადამიანს ექნება შესაძლებლობა განვითარდეს როგორც ინტელექტუალურად, ასევე, შემოქმედებითი თვალსაზრისით. ცხოვრების ყველა სფერო, თანდათან, ახალ ვიბრაციებზე გადადის. გაჩნდება თანასწორობის და სამართლიანობის, ერთიანობის, თანამოაზრეობის, გუნდურობის მოთხოვნილება, შემოტანილი იქნება უამრავი ინოვაციური მიდგომა, ახალი ხედვა. ეს შეეხება განურჩევლად ყველა სფეროს – მედიცინიდან, განათლების სისტემიდან დაწყებული – ყოფით სფეროებამდე. ერთი სიტყვით, წინ საინტერესო ეტაპი გველის და, როგორც ბოლო თვეებმა დაგვანახა, ცვლილებები უკვე დაწყებულია. ჯერ გაუგებრობაშია მსოფლიო, მაგრამ ნებისმიერი კრიზისი რაღაც ახლის დასაწყისია. არ არსებობს სრულიად ნეგატიური, ან სრულიად პოზიტიური მოვლენა. ყველგან უნდა შევძლოთ რესურსის მოძიება, იქაც, სადაც გვეგონია, რომ არ შეიძლება იყოს.

რაც შეეხება დედამიწის მე-5 განზომილებაში გადასვლას და ამასთან დაკავშირებულ საკითხებს:

ჩვენს გარშემო არიან ადამიანები, ვინც ზრუნავს სხვების გამოღვიძებაზე, ცდილობენ, გაანათლონ და დაეხმარონ მათ ამ უმნიშვნელოვანეს გარდამავალ პერიოდში. ისინი არიან სამყაროს მისიონერები, გამოღვიძებული ნათელი სულები, რომლებიც ერთგვარად სამყაროსეულ დავალებას ასრულებენ და თუ დავაკვირდებით, იმატა მათმა რიცხვმა, რაც ძალიან კარგის მანიშნებელია. ადამიანებში არსებობს გარკვეული უიმედობა, მომავლის შიში. დაემშვიდდეთ, – არაფერი ცუდი არ ხდება. ზოგადად, ადამიანს ჩვევია ემინოდეს იმის, რაც არ იცის და რაშიც ჯეროვნად ვერ ერკვევა. ალბათ ყველას გვახსოვს ის ვნებათაღელვა, რაც 2012 წლის 21 დეკემბერს ხდებოდა საზოგადოებაში. იყო შიში, გაურკვევლობა, პანიკაც კი! ბევრის მტკიცებით (მათ შორის, ეზოტერიკოსების, მაიას ტომის კალენდრის მკვლევარების, მედიუმების და სხვა), 2012 წლის 21 დეკემბერს მეორედ მოსვლას, აპოკალიფსს და ნეგატიურ მოვლენებს ექნებოდა ადგილი. თუმცა, მსგავსი არაფერი მომხდარა! ჩვეულებრივი დღე გათენდა. მოხდა შემდეგი:

საუკუნეების მანძილზე, დედამიწის ვიბრაციის სიხშირე, შუმანის სკალის მიხედვით იყო 7,6 – 7,8 ჰერცი. 80-იანი წლებიდან დედამიწის მაგნიტური ბადე შეიცვალა, დაიწყო თანდათანობით ზრდა და 2012 წლის 21 დეკემბერს კვანტური ნახტომით დაგვირგვინდა, რის შემდეგაც დედამიწის მაგნიტურმა სიხშირემ კიდევ უფრო დაჩქარებული ტემპით დაიწყო მატება. სიხშირის ზრდა მანამდეც ხდებოდა, თუმცა, მკვეთრი ზრდა, სწორედ 2012 წლის 21 დეკემბრიდან დაფიქსირდა. დედამიწა უფრო მაღალ ვიბრაციაზე გადავიდა და, მას შემდეგ, ყოველწლიურად იმატებს.

2020 წლის 21 დეკემბერს ანალოგიურ მოვლენასთან გვექონდა საქმე: დედამიწის მაგნიტური სიხშირე კვლავ გაიზარდა და 21-დან 40 ჰერცს ასცდა, შუმანის სკალის მიხედვით, რითიც იზომება დედამიწის მაგნიტური ველი. თუ ადამიანის ორგანიზმის უჯრედული ვიბრაცია დედამიწისაზე დაბალია, ის შეუსაბამო იქნება დედამიწის ახალ ვიბრაციებთან და ძალიან გაუჭირდება ახალ რეალობასთან ადაპტირება. სწორედ ამიტომ გააქტიურდნენ სამყაროს ნათელი ადამიანები, ამიტომ არის ამდენი მონოდება ერთიანობაზე, უპირობო სიყვარულზე, მიტევებაზე, ვინაიდან, როგორც ვიცით, ყველა ადამიანს, ყველა ემოციას თავისი მაგნიტურ-რეზონანსული სიხშირე გააჩნია და მაგნიტური სკალით იზომება. მაგალითად: შიში, სასონარკვეთა, დებრესია, შური, მტრობა, სიძულვილი, აგრესია – ეს ძალიან დაბალი ვიბრაციებია. მათი სიხშირე, სადაც, 0,3–3,9 შორის მერყეობს, მაშინ, როდესაც მიტევება, სიკეთე, სიყვარული, სათნოება, რწმენა, მაღლიერება 40-დან 250 ჰერცს აღწევს! ამიტომ არის აუცილებელი ჩვენი აზროვნების, ფიქრების, ქმედებების შეცვლა და ეს უნდა მოხდეს სასწრაფოდ!

ე. ნ. კოვიდ 19 -ის დროს, მეტწილად, ზრდასრული და ასაკიანი ადამიანები ავადდებიან, ბავშვებში ეს დაავადება (მადლობა ღმერთს), ბევრად ნაკლებად გვხვდება. რატომ? ბავშვებს, თავისთავად, მაღალი ვიბრაცია აქვთ, გულწრფელები და უანგაროები არიან! მათ გულით უხარიათ, გულით უყვართ, ადვილად პატიობენ, პატარა მიზეზიც კი საკმარისია, რომ ბედნიერად იგრძნონ თავი, შეჭხარიან ყველანაირ უმნიშვნელო წვრილმანს, ყოველ გათენებულ დღეს! მათ მიტევება, უპირობო სიყვარული შეუძლიათ!

გავიხსენოთ იესოს სიტყვები: „იყავით პატარა ბავშვებივით, რადგან მათია ცათა სასუფეველი“...

ისევ შუმანის რეზონანსის თემას დავუბრუნდეთ. ბირთვული ფიზიკოსების მიერ კოვიდის ვიბრაციის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ის მხოლოდ 15 ჰერცია! უფრო მაღალ ვიბრაციებთან შეხებისას, ის, უბრალოდ, უძლურია, კვდება! დასკვნები, თავად გამოიტანეთ...

ვიბრაციების ასანვეად შევეცადოთ ბუნებასთან გვექონდეს კონტაქტი, მოვუსმინოთ ამალღებულ მუსიკას, ვიმღეროთ, ვიცეკვოთ, დავუკრაოთ, ვილოცოთ, ვისაც სურს, შეუძლია თვითშემეცნებას, მედიტაციას დაუთმოს დრო, ყველაზე აუცილებელი და ყველაზე მნიშვნელოვანი კი მიტევება-მონანიებაა, პატიება, მიღება, კეთილგანწყობა ყველას მიმართ, უპირობო სიყვარულის სწავლა. აუცილებელია, ჩვენში ნამდვილმა, ადამიანურმა ბუნებამ გამოიღვიძოს, – ისეთმა, როგორც იყო ჩაფიქრებული შემოქმედის მიერ და, რაც, საუკუნეების მანძილზე დავკარგეთ. ახლა აუცილებელია სწორედ ეს გამოიღვიძება, საკუთარი არსის გაცნობიერება, რათა უმტიკინელოდ შევძლოთ ახალ რეალობაში, ახალ სამყაროსთან ადაპტირება, ახალი ხედვის უნარი, სამყაროსთან ერთიანობის განცდა.

როგორც არასდროს, გასაგები გახდა ყველასთვის ერთ-ერთი გაცვეთილი, თითქოს არაფრის მთქმელი ფრაზა: „დედამინა ჩემი სახლია!“ დიახ, ეს გლობალური თანაგანცდაა, უკვე დანყებული, რაც, სამომავლოდ, უფრო მეტად გაიზრდება. ისევე გეტყვია უცხო ტომელი მეზობელ კონტინენტზე, როგორც საკუთარი, ისევე გვალღებებს ამაზონის ტყის დანვა, როგორც ჩვენი ბუნების გაჩანაგება. ადამიანები იღვიძებენ, თავისთავად ხდება მათი ვიბრაციების ამალღება, რაც არის წინაპირობა მთლიანად დედამინის უფრო მაღალ ვიბრაციაზე გადასასვლელად. საამისოდ, მე-20 საუკუნის 80-ანი წლებიდან, ნელ-ნელა დაიწყო შემოსვლა ახალი რასის წარმომადგენლებმა – ე. ნ. „ინდიგო“ რასამ. მოგვიანებით, 2008 წლიდან მათ მიემატნენ ე. ნ. „ცისარტყელები“ და ბოლოს, შემოვიდნენ „კრისტალები“. სწორედ მათ ევალბათ დედამინის ვიბრაციის აწევა, გასუფთავება თავიანთი ნატიფი ვიბრაციებით და სწორი, სამყაროსეული მსოფლმხედველობით. დავაკვირდეთ ახალ თაობას, შვილებს, შვილიშვილებს, – ისინი ბევრად ნიჭიერები, სუფთა, ბევრად ჰუმანურები არიან. ვხედავთ, როგორ ფაქიზად ეპყრობიან ბუნებას, ცხოველებს, როგორ ზრუნავენ მათზე და მაგალითს გვაძლევენ უფროს თაობებს, როგორ გულით ეხმარებიან უმწიფებს, უამრავი დახმარების ჯგუფი შეიქმნა ამ ბოლო ხანებში, და ეს გოგო-ბიჭები, სრულიად უსასყიდლოდ, ცდილობენ უცნობი ადამიანების გვერდში ამოდგომას, გამხსნევენ, მათი სიცოცხლის გადარჩენას, როგორც შეუძლიათ!

სწორედ ეს არის ჩვენი დედამინის მომავალი!..

დავუბრუნდეთ თავდაპირველ თემას. პირველ ეტაპზე შემოვა მეხუთე განზომილების ყველაზე დაბალი, 40 ჰერცი სიხშირე, რომელიც, სამომავლოდ, თანდათანობით, გაიზრდება. პარალელურად მოხდება გამა გამოსხივების ზრდაც და ცნობიერების ამალღება ავა მეხუთე განზომილების სიხშირეებამდე, სადაც ვიბრაციები 40-100 ჰერცამდეა მოაზრებული. თუ ადამიანი უკვე 100 ჰერცამდე ზრდის ვიბრაციას (არაიან ასეთი მნიფე სულელებიც), მასში იღვიძებს ზე-შესაძლებლობები (დნმ-ის 12 ძაფის აქტივაციის და მეხსიერების გამოთავისუფლების ხარჯზე), რომელიც შემოქმედის მიერ თავიდანვე იყო ჩადებული ჩვენში. თუ ამ ყველაფერს კარგად გავაცნობიერებთ და დასაწყისისთვის, თუნდაც, მცირედით მაინც, მოვახერხებთ ვიბრაციების აწევას, მოხდება ადამიანების მასობრივი გამოღვიძება, – ე. ნ. სულიერი ამალღება!

სწორედ ამ გამოღვიძებისთვის მოევლინა კაცობრიობას ქრისტე თავისი სწავლებით, სამყაროსთვის ყველაზე რთულ და ბნელ „კალი იუგას“ პერიოდში მხსნელად, რათა ადამიანები, უკვე ხვალინდელი, „სატია იუგასთვის“ (ოქროს ხანა) მოემზადებინა, რათა რაც შეიძლება მეტი მათგანი დაბრუნებულიყო საკუთარ თავთან, გაეხსენებინა და გაეცნობიერებინა თავისი ჭეშმარიტი დანიშნულება, ღვთაებრივი ბუნება. აღსანიშნავია, რომ თითოეული გაღვიძებული ადამიანი, მისი ამალღებული ვიბრაცია მის გვერდით მყოფი ადამიანების ვიბრაციას თავისდაუნებურად ამალღებს!

და ბოლოს, დიახ, შესაძლოა, თავდაპირველად, ბევრმა ვერც შეძლოს დროული ადაპტირება, შიშმა მოიცვას, მაგრამ ცვლილებები არ ნიშნავს მხოლოდ ცუდს!

წინ გველის უჩვეულო და საოცარი პერიოდი – ახალი ასტროლოგიური ეპოქის დასაწყისი! არაჩვეულებრივი შანსი – შევეცვალოთ ჩვენი ცხოვრება და სამყარო უკეთესობისკენ! ახალი ეპოქა გვაძლევს უამრავ შესაძლებლობასა და პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე გვანუხებდა. თანდათანობით, მთელი სამყარო დაიწყებს გლობალურად ცვლილებას, გარკვეული გადაწყობა, ახალი რეალობისთვის ფეხის აწყობა მოგვინევს, თუმცა, ყველაფერი ჩვენს ხელთაა! ვისაც ბევრი სურს, არ უშინდება ცვლილებებს, ის ბევრს მიიღებს. ამიტომ, დავსახოთ მიზნები და გაბედულად ვიყუროთ მომავლისკენ.

ყველაფერი კარგად იქნება!
სულ ცოტა დრო გვჭირდება ამ ყველაფრის გასაცნობიერებლად, უპირველესად კი – ერთმანეთის სიყვარული და რწმენა!..

პ ი ე ზ ი ა

სევდით გადასერილ მუზას სურს, რომ ამოხეთქოს ლექსად, მთვარის ბროლიანი თასით სევდის სადღეგრძელოს შევსვამ. ცრემლი მოერევა თვალს და გულსაც ააჩქარებს პულსი, მხოლოდ მას გავანდობ ჩუმად, როგორ ჩამისახლდი სულში... მხოლოდ ის ერთია მონმე, ტრფობით, ცრემლი როგორ ვღვარე, ერთიც დალიეო, – მეტყვის ჩემი მასპინძელი მთვარე. დილით, ალიონზე, კარგო, გეტყვი ჩემი გულის ნადებს, ჩვენი სიყვარულის გამო, ქარებს გავაყოლებ დარდებს.



დათო ლომიძე

ერთი უბრალო მეეზოვე ვარ, ვგვი და ვალაგებ მტვრიან სტრიქონებს, არ ვერიდები და არც ვთაკილობ საქმეს, – მუზა რომ გამომიგონებს. გამხმარ ფოთლებში ვაგროვებ ხმოვნებს, სიტყვას უფალი მანანად მაყრის, ზოგჯერ ვიპარავ, ზოგჯერ ვმთხოვრობ, – არსთა გამრიგე რასაც გადაყრის. ერთი უბრალო მეეზოვე ვარ, უღექსოდ, ვიცი, გამიჭირდება, გთხოვთ, მე მაჩუქოთ თქვენი რითმები, თუკი ფიქრობთ, რომ არ დაგჭირდებათ.

მინდა, ისე უსასრულოდ განვიმდეს, დამელვაროს გულზე სევდა ნიაღვრად, უიმედო სიყვარულის ცრემლებმა დამასველოს, დამასველოს მთლიანად... თუ ნახვედი, მაშინ ნადი ბოლომდე, აღარ მინდა, რომ ფიქრებთან ვომობდე... დაგივინყებ, დაგივინყებ როგორმე, აღარ მინდა, უსასრულოდ ვგლოვობდე. აღარ მათრობს გაზაფხულის სურნელი, ჩემი ნებით, ვგრძნობ, რომ წარსულს ვბარდები... შენი წასვლით დამიმსხვრიე მითები, აღარ ვიცი, ვის გავანდო დარდები.

იქ, გოლგოთისკენ მიმიწევს გული, სადაც ცოდვები ერთად გროვდება, ვერცხლი არ უნდა, გროშებს იბარებს, ერთი იუდა მეც მელოდება... ჯვარცმის ბილიკებს მეც გაუყვები, წრფელი გულით და ცთომილი გზიდან, მეც ხომ ერთ-ერთი ვარ იმათგანი, ჯვარს ჩემსას მხრებით ბოლომდე ვზიდავ... აქ ვარ, მეც გული შუბით გამიპეთ, იქნება, ჩემშიც განმინდოთ ცოდვა, ფეხით გამთელეთ, გამამათრახეთ, რომ სიმწრისაგან დავიწყო ხოკვა... ბოლოს ხომ ერთად წარვსდგებით ღმერთთან, ყველას მოგველის ჩვენი სამსჯავრო!.. მონანიების მხურვალე ცრემლით სჯობს, ერთმანეთის სულზე ვიჯავროთ...

იხტორიის ყელდაყელ



ზინაბ ხიდაძე

ღვანღმოსილი ექიმ-კარდიოლოგის, ქ-ნი ზინაბ ხიდაძეღის ფესვები სამაჩაბლოს ძირძველ მინას ეკუთვნის. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელია მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენი ქალაქის სინამდვილეს ნათელი ფერებით აფერადებს, ქ-ნი ზინაბის ფიქრი და გონება – ტკივილითა და მარადიული მონატრებით, დღემდე მშობლიურ კუთხეს დასტრიალებს.

სამაჩაბლოს ქართული ენის განსაკუთრებული ტკილზმოვანება, დახვეწილებით გამორჩეული სიტყვა-პასუხი, ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ლიტერატურის ცოდნა ქ-ნი ზინაბს აძლევს უფლებას, ერთდროულად, იყოს სულისა და სხეულის მკურნალი.



თირის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის ფრაგმენტი

„სულთა ნათესაობა“ (ჰერმან ჰესე)

ზოგჯერ ხდება, რომ სხვადასხვა პროფესიის, შეხედულების, სხვადასხვა ასაკის ადამიანებს შორის ყალიბდება სულთა ნათესაობა. ასეთია ჩემი და მურად მთვარელიძის – ჩვენი ქალაქის საამაყო მოღვაწის ურთიერთობა. ჩვენ ხშირად გვისაუბრია ჩემს კუთხეზე, შიდა ქართლზე, კერძოდ – ლიახვის ხეობაზე, ჩემს დედულ-მამულზე, ჩვენს სამშობლოზე (ქართლში დედ-მამის მინა-წყალს „სამშობლოდ“ ღებულობენ). ბევრი რამე მიაბნია მისთვის დედის, მამის მონაცოლიდან, ბევრი ცრემლიც მომინურავს მასთან საუბრისას, განსაკუთრებით, ბოლო წლების კატაკლიზმების გამო. მე და მურადს სურვილი გვქონდა, ჩვენს მეგობრებთან ერთად, დიდი ლიახვის ხეობის საერთო სალოცავის, სოფელ მონასტრის (თირი) ღვთისმშობლის დიდი ტაძრის მონახულება და პატივის მიგება მარიამ ღვთისმშობლის დაბადების დღეს (21 სექტემბერს). მაგრამ ცნობილი და სამწუხარო მიზეზების გამო, ვერ შევძელით.

მინდა აღვწერო ის არემარე, სანამ დავინწყების მტვერი დაფარავს და მურადს მივუძღვნა...

სოფელ ქურთადან, აჩაბეთიდან და თამარაშენიდან დასავლეთით შვიდ ვერსზე, სოფელ მონასტრისკენ გზა მუხის ტყეს მიუყვება. ტყეს მდინარე ჩამოედის, ირგვლივ ბიბლიური სიმშვიდეა, მხოლოდ ფრინველთა ჭიკჭიკი არღვევს მყუდროებას. გზის ბოლოს ფლატეა, ფლატეს რომ აივლით, დიდი სამონასტრო კომპლექსი შემოგხვდებათ, ქვის მასიური ფილებით გადახურული, კუთხეებში ქვის დიდი ვერძებით. ამ ყველაფერს თითქოს ზეციდან დასცქერით... ფლატის ჩასასვლელს რომ ჩაივლით, იხილავთ ოთხსართულიან სამრეკლოს, ძერასფერი ქვით აშენებულსა და უზადო ქართული ორნამენტებით დამშვენებულს, მოხატული მაღალი გუმბათით. ტაძრის გვერდით კელიებია მომლოცველთათვის.

ჩემს ბავშვობაში ტაძრის ეზოში „ერი“ დგებოდა და მთელი შიდა ქართლი ლიახვის ხეობასთან ერთად ლოცულობდა მარიამ ღვთისმშობლის დაბადების დღეს. არავის ახსოვს 21 სექტემბერი ღრუბლიანი, ყოველთვის მზე კაშკაშებდა, თითქოს ისიც ბედნიერ მომლოცველთა შორის იდგა.

XI-XII საუკუნეებში ოთხი კალატოზი ძმის აგებულ-დამშვენებული ტაძარი ადრეულ ქართულ რენესანსულ ეპოქას ეკუთვნის. 90-იან წლებამდე, ჩვენი ოჯახი, ჩემს დედულეთთან ერთად, ყოველ წელს მიდიოდა ღვთისმშობლის მოსალოცად. ბოლო წლებში შექმნილი მოვლენების გამო, ვეღარ შევძელით მონასტერში ასვლა...

სალოცავებთან ერთად, 2008 წელს, აგვისტოს ინტერვენციის შემდეგ დაგვარგეთ დედულეთი – დიდი ლიახვის ხეობა, – შიდა ქართლის ნაცოფიერებით, წმინდა ქართული პატიოსნებითა და რწმენით შემკული მხარე. დაგვარგეთ დიდ-პატარა ლიახვის, ფრონეების, ქსნის ხეობის საერისთავო – შიდა ქართლის ყველაზე ბარაქიანი და ძლიერი ხეობები. რაც ყველაზე მთავარია – დაგვარგეთ კავკასიონი, რაჭიდან ყაზბეგამდე!!! ჩვენი კაცობის საყრდენი, ჩვენი საიმედო ბურჯი, ჩვენი პრომეთე – ამირანის სამყოფელი, ჩვენი წმინდა მდინარეების სათავე და ჩვენი მარჩენალი, ჩვენი ბუნებრივი ზღუდე და თავშესაფარი.

კავკასიონის გადმოლახვა – ეს იყო კაცობრიობის გარკვეული ნაწილის დიდი დანაშაული! დამნაშავეს ეროვნება არ აქვს, მან სიყვარული არ იცის, არც ადამიანის, არც ბუნების, ის უნდა ძრწოდეს, განგება მას ამ საშინელების ჩადენას არ აპატიებს, – ვინც უნდა იყოს იგი!

საქართველო ბიბლიურად ღმერთის საუფლოა, კუთვნილებით – ღვთისმშობლის კუთვნილი. აქ ბევრი სინმინდეა დაუნჯებული! მირონი იხარშება, ჟამი ღვთის ენით შეინირვის... ქრისტეს ხორცის და სისხლის (პურის და ღვინის) სამშობლო ვართ.

ყველას ვთხოვ, კარგად ჩასწვდნენ ჩემი სამშობლოს არსს (ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე), მსოფლიო ცივილიზაციის შექმნაში და შემდგომ პერიოდშიც. ჩვენი ერის და ქვეყნის უნიკალურობას სპეციალური ინსტიტუტები უნდა სწავლობდნენ და სამაგალითოდ სხვა ქვეყნებში ავრცელებდნენ.

ჩვენგან ბევრი სიკეთის სწავლა შეიძლება, მათ შორის – დიდი სიყვარულისაც. სიყვარულით მტრის დამარცხებაც ხელოვნებაა...

მოდი, გასწავლო, შენც სიყვარული!

სკვითო, არ მინდა შენი მონება!
ამას ღრმად ჩანვდა ჩემი გონება,
არ მინდა ხედნა და თითის ქნევა,
მინდა, „გეყუნეს“ ჩემი ქვეყანა!
მინდა, რომ ვიყო თავისუფალი!
ჩემს ცას ჰფარავდეს თავად უფალი!
მოხვიდე... დაგხვდე ღირსებით სავსე,
თასი შეგივსო თავანკარ ღვინით
და დაგილოცო ფუძე და ჭერი!
გულით გაჩვენო ბალნარი ჩემი,
შემდეგ გაგიშვა ღირსეულ ძღვენით,
სახლს დაუბრუნდე ღიღინით, ღხენით...
სკვითო, დამითმე კავკასიონი
და შეგენევა ღმერთიც, სიონიც!
გადავივინყოთ ბოღმა და შური,
მინდა გასწავლო ღვთის სიყვარული!
ღმერთმა დამითმო თვის საჩუქარი!
ძალიან გთხოვ, რომ მომაპყრო ყური:
მინა მაქვს სისხლით, ცრემლით ნალესი,
გული მაქვს ძმისთვის უმხურვალესი...
მოდი, გასწავლო შენც სიყვარული!..



ეკა ბაქრაძე

ვინ ამოხსნა ბედისწერის შარადა?
 დროც გავიდა, როგორც ენკი-ბენკი...
 არადანი შენი იყო... არადა,
 თავს გახსენებს ამოცლილი ნეკნი.
 არჩევანი, ალბათ ჩემი ბრალია,
 შეჩვეულმა იცის შემორჩენა...
 ჩაიღურის წყალი კი არ დალია,
 გაზაფხულმა ამოიღვა ენა...
 და აპრილიც, ვიცი, გრძნობის ქალია,
 მარადიულ ვალად ადევს ნეკნი,
 სიჭაბუკე ჯერაც ჩაუმქრალია,
 არ გათვლილა, ჯერაც, ენკი-ბენკი...
 ვიდრე მარტი რტოებს ამურს არიდებს –
 ჩემი ჩუმი ერთგულების მოწმე,
 აპრილამდე, გულის ამონარიდებს
 გაუმხელელ ბარათებად მოგწერ...

* * *

სუბსარქისის ლამეა – სურვილებით გულუხვი,
 სულს უბერავს არევიკ მარილიან მადაურს,
 სიზმრად უნდა შემასვან, ლამით, წყალი, თულუხით,
 ბედი ვისთან წამიყვანს, ანდა – საით, სადაურს?
 მარიგებდა მზრუნველი, დაზე ტკბილი დობილი,
 ჰქონდა ვარდის სურნელი სიზმარეულ ინანთებს.
 – ის გახდება საბედო, შენებრ ბედს დანდობილი, –
 წყალს ვინც გამოგინოდებს მანამ, სანამ ინათებს!
 უწინდელი ცეტობის მოგონებებს ვადეღებ,
 სუბსარქისის ქარებმა იხმეს პაროქსიზმები –
 ამ ცხოვრების სცენაზე არშემდგარი პა-დე-დე
 და წარსულს შეხიზნული არნახული სიზმრები...
 ჩამიქროლა თეთრონმა ულაგამო აღვირით,
 თრიმლი თვლემს და ტოტებზე თოვლის თეკა თამთამებს,
 წლების თეთრად თქარუნში, ზამთრის ციდან დაღვრილი,
 თრთვილი ეთამაშება შემორჩენილ თავთავებს.
 სუბსარქისის ქარია, ჩაუხერგავს ვინრობი,
 დინჯი ათასწლეული სინრფოებს ინონებს,
 ახალ ვიბრაციებით რკინასავით ვინრობი,
 სადღაც მზე იბადება – უკუნის საპირნონე!..
P. S. უკვე ობი მოედო მარილიან მადაურს,
 ჩაირბინა საბედომ, ბაჩასავით, ბზაკუნით,
 – არსად არ წამოგყვები, სადაური – სადაური,
 ბედო, აღარ გაბედო ჩანაფიქრი მზაკვრული!

მამის ხსოვნას

თოვლმა მოწყენილ ხსოვნის ნალიას
 გადააფარა თეთრი ნაბადი...
 რაც მაბადია, შენი კვალია –
 თოვლივით წრფელი და თვითნაბადი...
 ჩემთვის რომ დაგრჩა გაუკვალავი,
 იმ ბილიკს მძიმედ, კირთებით ვკაფავ,
 თოვს... უსასრულო და უთვალავი
 ფიფქი ეცემა მშობლების საფლავს.
 თოვლი სათუთად ართავს საჩეჩელს,
 როგორც ზღაპარში – გოგო ობოლი,
 სული სარჩულით შემომამჩეჩეს
 და ველარ ვარჩევ ცხადს და მოგონილს!..
 შემცივრულ კედლებს იტკივებს კერა
 და ჩაენმინდა ბუხარს სასულე,
 მარადისობის ბავშვივით სჯერა
 თოვლს... და ფიფქების გამას ასრულებს...

ყმანვილკაცობისკენ ახლადფეხადგმულ შვილს

“საულვაშეზე გაუჩნდებთ ღინლი და, მალე,
 საილალოდ გაინვევენ, როგორც ხარები...”
 ზურაბ კუხიანიძე

საილალო სურვილებს მალავ
 და ღვინობისთვე გელვრება მაჭრად...
 ახლა ვისხენებ პატარა წალამს, –
 შენს სადღეობოდ, პაპამ რომ აჭრა.
 ის ღერწმის ღერო ვაზია უკვე, –
 გადანიდნული მწიფე მტევნებით,
 იმ უცხო სურნელს საკმევებს უკმევს, –
 შენ რომ ჯიუტად აედევნები!..
 ღვინობისთვეა... დგას თავმომწონედ
 და დედამინის ივსება ვარცლი,
 ქარით აწეწილ ქარვის კონოლებს
 მზეს, წვიმა, სველი თითებით ვარცხნის...
 ბევრის მომსწრე და მრავლის მნახველი,
 მაჭარს სისხლივით წამოახველებს, –
 ბერიკაცივით დგას სანახელი
 და შემოდგომა ისევ ახელებს...
 მზეჩამდგარ მტევნებს ბანივით ბეკნი,
 ჩურჩულით გლოცავს აჩრდილი პაპის,
 შენთვის შექმნილი, ადამის ნეკნით,
 ვილაც ვარდისფერ მირაჟებს ჩხაპნის...
 საულვაშეზე გილიმის ღინლი,
 ჯერ შეუცნობელს გკარნახობს ალლო,
 აწყვეტილ წვივებს სწორებთან ილლი,
 ნავარდი გიხმობს, საილალო!..
 ვიდრე წვეთ-წვეთად ივსება სანდე,
 გამითეთრდება თოვლით კანანი,
 უფალს ვედრებას ზეცამდე ვანვდენ, –
 შენზე ლოცვით და სულის კანკანით...
 სამყაროს ხსენი გასვი კერტებით
 და ცალუღელამ გზარდე, ჩაუქად,
 მანამდე მე არ დაგიბერდები,
 მზეს ერთი სხივიც თუ არ ჩაუქრა!..

„სად მიდის გული?“ – შემომჩურჩულა დედამ, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე..

– სად მიდის გული? – კითხულობს დედა,
 უიმედობას თვალებით ამხელს...
 ვერ ვბედავ, სადმე მივჩქმალე ელდა
 და, უნებურად, ვარიდებ სახეს...
 სად მიდის გული, რა ხდება ნეტავ,
 როცა განგება იმედებს გართმევს?!
 ეს, მერამდენედ, ჩურჩულებს დედა:
 „გარდაუვალის დათმენა გმართებს!“
 ცრემლივით წვეთავს დალილ მკერდიდან
 ჯიუტი სენი, ვით დედის ხსენი!
 ვაი, რა უცებ დამიბერდი და,
 ვერც სიბერისგან ვერ დაგიხსენი...
 ფერდაკარგული გული გაფრინდა
 დღემოკლე, უტყვი პეპელასავით,
 გამოქცეული ჩემი ზღაპრიდან
 და გაფრენილი ფრთების სავსავით...
 გული ბავშვივით დაგიჩა გარეთ,
 მოურჩენელი ტკივილის მსგავსად,
 ვპასუხობ დედას: „ტკბილი და მწარე
 გული, არასდროს არ მიდის არსად!!!“